დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის მმართველის საბჭოს
მიერუნივერსიტეტის მმართველის საბჭოს
მიერ 2026 წლის 18 თებერვლის N 2
დადგენილებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“
აკადემიური წოდების მინიჭების წესი

2026 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. საპატიო დოქტორი 3
მუხლი 3. საპატიო დოქტორის მინიჭების პროცედურა 3
მუხლი 4. დასკვნითი დებულება 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (შედგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ აკადემიური წოდების მინიჭების პროცესს.
2. აკადემიური წოდება - წოდება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განსაკუთრებული დამსახურებისთვის ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს.

მუხლი 2. საპატიო დოქტორი

2.1. უნივერსიტეტს უფლება აქვს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.

2.2 საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს:

2.2.1 უცხო ქვეყნის ან საქართველოს მოქალაქე მეცნიერს ან/და საზოგადო მოღვაწეს;

2.2.2 საერთაშორისო მასშტაბით დარგში საყოველთაოდ აღიარებულ პროფესორს, მკვლევარს, პრაქტიკოს სპეციალისტს;

2.2.3 პიროვნებას კვლევებისა და სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და უნივერსიტეტთაშორისი კოლაბორაციული საქმიანობის ხელშეწყობისათვის;

2.2.4 მოღვაწეს, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში ან/და დარგის სპეციალისტს პროფესიული აღიარებისათვის;

2.2.5 პიროვნებას უნივერსიტეტისთვის გაწეული განსაკუთრებული სამსახურისათვის.

2.3 საპატიო დოქტორის წოდების მქონე პირებზე არ გაიცემა ანაზღაურება.

მუხლი 3. საპატიო დოქტორის მინიჭების პროცედურა

3.1 საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ უნივერსიტეტის პრეზიდენტის ან რექტორის დასაბუთებული წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.

3.2. წარდგინების პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახური.

3.3 საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გაიცემა აკადემიური წოდების დამადასტურებელი დიპლომი, მედალი და მანტია, რომლის ფორმასა და შინაარსს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.4 საპატიო დოქტორის პირადი მონაცემები, ასევე დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურში.

3.5 უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ფუნქციონირებს „უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების გალერეა“, სადაც ასახულია მათი კარიერული მიღწევები და მათთვის საპატიო დოქტორის მინიჭების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება.

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

4.1 წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ და ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4.2 წესში დამატებები და ცვლილებები შედის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.